ზოგადი ხედვა

1. *როგორია თქვენი ხედვა ქალაქის განვითარების ძირითადი პრიორიტეტების შესახებ?*

ქალაქის განვითარების ხედვაში იგულისხმება მოქალაქეებისა და თვითმმართველობის მიერ შეჯერებული საერთო აზრი. ხედვა გრძელვადიანი ამბიციაა, რომელიც ადგილობრივი საზოგადოების ძალისხმევას წარმართავს. სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების ერთობლივი ძალისხმევის შედეგად, ქალაქ რუსთავის განვითარების ხედვა ასე ჩამოყალიბდა.

განვითარება და ეკონომიკა

2. *გთხოვთ, მოკლედ აღწეროთ ქალაქის გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების თქვენეული ხედვა/გეგმა?*

- თანამედროვე მსოფლიოს ტენდენციების მიხედვით, ქალაქის ეკონომიკა სამომავლოდ უნდა ეფუძნებოდეს ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, ინოვაციებს;
- ქალაქში უნდა შეიქმნას ტექნიკური ინოვაციების ცენტრი, რომელიც საშუალებას მისცემს განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანებს მოახდინონ მათი იდეების რეალიზება;
- მიუხედავად იმისა, რომ რუსთავში აგრო სექტორი არაა განვითარებული მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია მოზიდული იქნეს ინვესტიციები, რათა შეიქმნას ძლიერი სასასწყობე და სამცივრე მეურნეობები, რომელიც მოემსახურება ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონის ფერმერებს. ქალაქს აქვს ამის რეალური პოტენციალი;
- იქიდან გამომდინარე, რომ ქალაქში განვითარებულია მსხვილი სამრეწველო ინდუსტრია, ქალაქს აქვს ამ კუთხით განვითარების პოტენციალი. შესაბამისად, ქალაქის თვითმმართველობა ინვესტიციების მოზიდვისათვის ინვესტორებს სთავაზობს განახლებულ–რეაბილიტირებულ ინფრასტრუქტურას. 2016 წლისათვის ქალაქ რუსთავს ექნება თბილისთან დამაკავშირებელი ავტობანი;
- ქალაქში მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების მიზნით, საჭიროა ეფექტური თანამშრომლობა ადგილობრივ მეწარმეებსა და ადგილობრივ თვითმმართველობას შორის. რუსთავის თვითმმართველობას სამეწარმეო გარემოს განვითარების მიზნით, შეუძლია უზრუნველყოს მეწარმეთათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება და ერთგვარი ბიზნეს-საინფორმაციო ბანკის, ბიზნეს–ინკუბატორის შექმნა.
- ბიზნესის წახალისების მიზნით, თვითმმართველობის ინიციატივით გაიმართება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს კავშირების დამყარებას და რეალიზაციის გაუმჯობესებას (ბიზნესფორუმები, გამოფენები და ა. შ);
- ქალაქის თვითმმართველობის ბაზაზე უნდა შეიქმნას ძლიერი საკონსკულტაციო ორგანო, რომელიც დაეხმარება რუსთავში მოქმედ მცირე და საშუალო ბიზნესმენებს ბიზნესის დაწყებისა და წარმოებისათვის საჭირო დოკუმენტაციის მოსამზადებლად.

3. თქვენი აზრით, რა არის მთავარი პრობლემები, რომლებიც თქვენი ქალაქის ეკონომიკურ განვითარებას ხელს უშლის?

- მძიმე სოციალური ფონი, დასაქმების პრობლემა, მცირე ბიზნესის განვითარება, ინფრასტრუქტურული პრობლემები, მწვანე საფარის დეფიციტი;
- მეწარმეებს, ძირითადად, კვალიფიციური კადრების დეფიციტი აქვთ. ქალაქში უნდა გაიზარდოს პროფესიული გადამზადების ცენტრების რაოდენობა, სადაც მოქალაქეებს საშუალება ექნებათ მიიღონ ან აიმაღლონ კვალიფიკაცია. აღსანიშნავია კვალიფიციური კადრების გადინება რუსთავიდან ქ. თბილისში დასაქმების მიზნით.
- ქალაქს აქვს მხოლოდ მძიმე მრეწველობაში და მშენებლობაში დასაქმების ტრადიცია;
- არ არის განვითარებული ურთიერთობები სხვა ქვეყნების სამრეწველო ქალაქებთან;
- თვითმმართველობას არ აქვს სრულყოფილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

4. თქვენი აზრით, რა არის თქვენი ქალაქის ძირითადი შესაძლებლობები და უპირატესობები, რომელთა გამოყენებასაც შეეცდებით მისი ურბანული და ეკონომიკური განვითარების მისაღწევად?

- მრეწველობის სფეროში ფუნქციონირებს რამდენიმე დიდი საწარმო. მრეწველობის სფეროში აღსანიშნავია ამონიუმის გვარჯილის, ამონიუმის სულფატის და ცემენტის წარმოების მატება;
- ქალაქის ადგილობრივი ბიუჯეტში შემოწირულობების ზრდის ტენდენცია ფიქსირდება;
- ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გააქტიურდა ვაჭრობისა და მომსახურების სფეროები;
- რუსთავში, ბოლო წლებში, გაიხსნა ძლიერი ბრენდების ფილიალები, ინვესტიცია განახორციელეს ევროპის უმსხვილესმა კონცერნმა „ჰაიდელბერგმა“, ბრიტანულ-ინდურმა და სხვა უცხოურმა ფირმებმა;
- ძლიერია საბანკო სფერო;
- ქ. თბილისთან შედარებით იაფია მომსახურებისა და პროდუქციის ღირებულება. აღსანიშნავია რუსთავში საოფისე და კომერციული ფართების სიიაფე;
- რუსთავი დაძმობილებული ქალაქების მსოფლიო ფედერაციის წევრია და დამეგობრებულია რამდენიმე ევროპულ ქალაქთან;
- რუსთავს აქვს შესაძლებლობა, გაზარდოს პროფესიული სწავლების მასშტაბები და ამ სფეროში რეგიონალურ ცენტრად იქცეს;
- რუსთავს აქვს თავისუფალი და მრეწველობის განვითარებსათვის მიმზიდველი ტერიტორიები;
- რუსთავის ტერიტორიაზე შესაძლებელია საერთაშორისო საწყობების მოწყობა, რადგან ის ძალიან ახლოს არის აზერბაიჯანისა და სომხეთის საზღვართან, თბილისის საერთაშორისო აეროპორტთან, ცენტრალურ სარკინიგზო მაგისტრალსა და ასევე უახლოეს მომავალში დაიგება ავტობანი, რომელიც რუსთავს დააკავშირებს თბილისთან;
- ქ. რუსთავის აუთვისებელ მიწებზე ლოჯისტიკური ცენტრის შესაძლო გახნა ეკონომიკური საქმიანობების გააქტიურების დამატებით პერსპექტივას შეუქმნის ქალაქს.

5. როგორია თქვენი საბიუჯეტო პრიორიტეტები? გთხოვთ, მოკლედ განმარტოთ თქვენი საბიუჯეტო პოლიტიკა.

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში ქალაქის საცხოვრებელი უბნების ეზოების, დასასვენებელი პარკების და საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა, განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა–შენახვა, წყლისა და საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია, კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია.

6. რა ღონისძიებებს გაატარებთ ქალაქის ბიზნეს და კომერციული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, ინვესტიციების მოზიდვის ხელშესაწყობად.

- საჭიროა ადგილობრივი თვითმმართველობის ინტენსიური ურთიერთობა, როგორც ქვეყნის შიგნით მოქმედ, ასევე უცხოელ ინვესტორებთან;
- ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, უნდა მოხდეს უცხოური გამოცდილებების გაზიარება, განსაკუთრებით კი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გამოცდილებების გაზიარება;
- ადგილობრივი კანონმდებლობიდან გამომდინარე, შესაძლოა, შეიქმნას შეღავათების პაკეტი ბიზნესმენთა გარკვეული ჯგუფებისათვის;
- ქ. თბილისთან შედარებით იაფია მომსახურებისა და პროდუქციის ღირებულება. აღსანიშნავია, რუსთავში საოფისე და კომერციული ფართების სიიაფე;
- ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის მშენებლობა, ლოჯისტიკური ცენტრების განვითარებისათვის ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორია, რაც პირდაპირ კავშირშია ინვესტიციების განხორციელებასთან. 2016 წლისათვის ქალაქ რუსთავს ექნება თბილისთან დამაკავშირებელი ავტობანი.

ურბანული განვითარება / ქალაქდაგეგმარება / ბინათმშენებლობა

7. რა ღონისძიებებს გაატარებთ უკეთესი ხარისხის საბინადრო პირობების შესაქმნელად მოქალაქეთათვის?

თვითმმართველ „ქალაქ რუსთავის ურბანული განვითარების სტრატეგიული გეგმა“ დასკვნით ეტაპზეა. პროექტი გეოგრაფიული მდებარეობის, ბუნებრივი რესურსების, სპორტის, ადამიანური რესურსების, კულტურის, ტექნიკური ინფრასტრუქტურისა და სხვა მიმართულებების სვოტ ანალიზის საფუძველზე შემუშავდა. წარმოდგენილია გრაფიკული მონაცემები საკადასტრო, სივრცით მოწყობასა და განაშენიანებასთან დაკავშირებით და ის ძირითადი სავარაუდო პრიორიტეტული მიმართულებები, რაც ქალაქის განვითარებას შეუწყობს ხელს. აღნიშნული „ურბანული განვითარების სტრატეგიული გეგმა“, საკრებულოს მიერ დამტკიცებულ საბაზისო დოკუმენტს წარმოადგენს, რომელზე დაყრდნობითაც ეტაპობრივად შემუშავდება რუსთავის მიწათსარგებლობის დოკუმენტაცია, რომელიც საბოლოო სახის მიღების შემდეგ საკრებულოს წარედგინება წლის ბოლოს და მის სისრულეში მოყვანას თვითმმართველობა უზრუნველყოფს.

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს - კონკრეტულად, ქალაქის საცხოვრებელი უბნების, ეზოების, საბავშვო მოედნების, დასასვენებელი პარკების და საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

8. რა ღონისძიებების გატარებას გეგმავთ ქალაქის ქუჩების სისუფთავის გასაუმჯობესებლად?

- ნარჩენების უტილიზაცია მეორადი გამოყენების მიზნით, დასასუფთავებელი სპეც–ტექნიკის შეძენა და ურნების დეზიფენქცია ასევე მეეზოვის ინსტიტუტის ამოქმედება;
- ქალაქის ყოველდღიური დაგვა–დასუფთავება და ნარჩენების გატანა, ასევე საცხოვრებელი კორპუსების შიდა ბუნკერების გაუქმება და გარე ქსელის ბუნკერების განთავსება.

ინფრასტრუქრურა და ტრანსპორტი

9. რა ღონისძიებების გატარებას აპირებთ საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემის გაუმჯობესებისთვის?

- მოქალაქეთა კომფორტულად გადაადგილების მიზნით, დაგეგმილია ქალაქში არსებული ავტოპარკის განახლება და რამდენიმე ავტობუსის შეძენა;
- ავტოტრანსპორტში დამონტაჟდება გადახდის დამაფიქსირებელი აპარატები და დაინერგება საბარათე გადახდის სატრანსპორტო სისტემა.

10. რა ღონისძიებების გატარებას აპირებთ ქალაქში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესებისთვის?

- დამატებითი საგზაო ნიშნულების დამონტაჟება;
- უსაფრთხოების მიზნით, საჭირო ადგილებში გზის გამყოფი ჯებირებისა და ქალაქის გარკვეულ უბნებზე მაკონტროლებელი ვიდეო კამერების განთავსება.

11. რა ღონისძიებებს გაატარებთ შეზღუდული შესაძლებლობების პირთა ქალაში გადაადგილების შესაძლებლობის გაუმჯობესებისათვის?

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თავისუფალი გადაადგილების მიზნით პანდუსების დამონტაჟება;
- უსინათლოთათვის ადაპტირებული ხმოვანი შუქნიშნების მოწყობა;
- ადაპტირებული ტრანსპორტით უზრუნველყოფა;

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, თავისუფალი გადაადგილების უზრუნველყოფის მიზნით, გზის სავალ ნაწილზე ადაპტირებული პანდუსების დამონტაჟება–მოწყობა.

კულტურა და განათლება

12. რა პროგრამებს განახორციელებთ კულტურული ცხოვრების გაუმჯობესებისათვის?

- აუცილებელია, ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. შესაბამისად, თვითმმართველობა განაგრძობს კულტურული დაწესებულებების ფინანსურ მხარდაჭერას;
- განხორციელდება სხვადასხვა კულტურული აქტივობები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები;
- ქალაქში ერთ–ერთი დიდი რეკრეაციული ზონის რეაბილიტაცია, რაც შექმნის საუკეთესო დასასვენებელ ადგილს მოსახლეობისათვის.;
- დაგეგმილია კულტურისა და დასვენების განახლებულ პარკში ღია კინოთეატრის განახლებული სახით რეაბილიტაცია;
- დაიწყება რუსთავის ისტორიული ციხის განახლების არქეოლოგიური სამუშაოები, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ როგორც სპეციალისტები, ასევე არქეოლოგიით დაინტერესებული ახალგაზრდები. დაგეგმილია, რუსთავის ციხის რეაბილიტაცია.

13. თქვენი კომპეტენციის ფარგლებში რას მოიმოქმედებთ განათლების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით?

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით, დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას. ეს უკანასკნელი, ანუ ბაღების გაერთიანება, თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული ააიპ-ია და შესაბამისად, თვითმმართველობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა, საბავშვო ბაღების ახალი შენობების აშენება და არსებულის რეაბილიტაცია. ასევე, იგეგმება:

- წარმატებული სკოლის მოსწავლეთთვის წახალისების მიზნით სტიპენდიის დანიშვნა;
- სტუდენტების შეღავათიანი ტრანსპორტით უზრუნველყოფა;
- სკოლის ასაკის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების დაფინანსება, რაც პედაგოგის ბინაზე მომსახურებას ითვალისწინებს. ასევე, აუცილებელია ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა, სკოლამდელი განათლების საფეხურზეც;
- წელიწადში ერთხელ, კონკურსის წესით შერჩეული სტუდენტის საზღვარგარეთ სწავლის დაფინანსება.

უსაფრთხოება და კრიმინალი

14. თქვენი კომპეტენციის ფარგლებში რა ღონისძიებებს გაატარებთ კრიმინალის წინააღმდეგ ბრძოლის პრევენციისთვის?

ქალაქის თვითმმართველობა თავისი კომპეტენციის ფარგლებში თანამშრომლობს ადგილობრივ საპატრულო პოლიციის დეპარტამენთთან.

ჯანდაცვა და სოციალური პოლიტიკა:

15. როგორი იქნება თქვენი სოციალური პოლიტიკა და რა სოციალური პროგრამების განხორციელებისთვის იზრუნებთ ქალაქში?

- ქალაქ რუსთავის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის, შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფა;
- სოციალურად დაუცველი მოსახლეობის და ქალაქში მცხოვრები ვეტერანების მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის უზრუნველყოფა, შპს–ების, სსიპ–ებისა და სხვადასხვა ა(ა)იპ–ების თანამშრომლების მუნიციპალურ ტრანსპორტზე შეღავათების დაწესება;
- გათვალისწინებულია, 2008 წლის რუსეთ–საქართველოს ომში, 2004 წლის აგვისტოს თვეში ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში დაღუპულ ჯარისკაცთა ოჯახებისა და ე.წ. მინდობით აღმზრდელი ოჯახების კომუნალური გადასახადების დაფარვა;
- მიმდინარე წლის განმავლობაში, მოქმედ სოციალურ პროექტებს კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი მიმართულება დაემატება. ვგეგმავთ, სტუდენტებისთვის ტრანსპორტით გადაადგილების ხარჯების ნაწილობრივ დაფინანსებას, მრავალშვილიანი სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის ფინანსური დახმარების გაზრდას.

16. რა ღონისძიებებს განახორციელებთ ჯანდაცვის ზოგადი ინდიკატორების გასაუმჯობესებლად თქვენს ქალაქში?

- დავაფინანსებთ და ვგეგმავთ, მომავალი წლიდან უფრო გავაფართოვოთ პროგრამა, რომელიც ონკოლოგიური და კარდიოლოგიური პრობლემების მქონე მოქალაქეების მკურნალობის ხარჯის ნაწილობრივ დაფინანსებას ითვალისწინებს;
- რუსთავში მცხოვრები 0–დან 150 000–მდე სარეიტინგო ქულის მქონე სოციალურად დაუცველი მოსახლეობისა და პენსიონერი მოქალაქეების მედიკამენტებით დახმარება;
- უსინათლო ბენეფიციარების კომუნალური ხარჯების დაფარვა და ასევე ნერვული დაავადებით დაავადებული ბავშვების მშობელთა მხარდაჭერა.

17. რა ღონისძიებების გატარებას გეგმავთ ქალაქში მიუსაფართა სოციალური პირობების **გასაუმჯობესებლად?**

- სოციალურად დაუცველი მოსახლეობისა და სხვა უმწეო მდგომარეობაში მყოფი ბენეფიციარების ყოველდღიური კვებით უზრუნველყოფა;
- უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოხუცების თავშესაფრით, კვებითა და სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა.

ეკოლოგია, რეკრიაცია და სპორტი

18. რა ღონისძიებების გატარებას აპირებთ ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად?

- მერების შეთანხმებიდან გამომდინარე, ქალაქს აქვს აღებული ვალდებულება ევროკავშირის წინაშე შეამციროს ნახშიროჟანგის გამოყოფა ქალაქის ტერიოტრიაზე 20 %-ით, 2020 წლისათვის. შემუშავებულია სამოქმედო გეგმა, სადაც განსაზღვრულია პრიორიტეტები. მნიშვნელოვანია ქალაქისთვის ეკოლოგიური უსაფრთხოების დაცვა, ენერგოეფექტური ღონისძიებების დაგეგმვა და მწვანე ეკონომიკური პოლიტიკის გატარება;
- არსებული გარე განათების LED სისტემაზე გადაყვანა, რაც შეამცირებს დანახარჯს და ნახშიროჟანგის გამოყოფას;
- დაგეგმილია შენობებში ენერგო–ეფექტური ღონისძიებების განხორციელება;
- ვგეგმავთ ქალაქის გამწვანების გრძელვადიანი პროექტის განხორციელებას, რაც იაღლუჯის მთის გამწვანებას ითვალისწინებს, რომლეიც წლების შემდეგ, მთლიანად შეცვლის რუსთავის ფლორას.

19. რა ღონისძიებების გაატარებთ ქალაქში რეკრიაციული ზონების, პარკების გაფართოება და განვითარებისთვის?

- იქიდან გამომდინარე, რომ ქალაქი ნახევარუდაბნოს ტერიტორიაზე მდებარეობს, საჭიროებს მიწის საფარის შესწავლას და საირიგაციო სისტემის მოწყობას, რათა მოხდეს ქალაქის გამწვანება;
- დაწყებულია კულტურისა და დასვენების პარკის რეაბილიტაცია;
- არსებული სკვერების რეაბილიტაცია, გამწვანება;
- დაგეგმილია ახალი სასათბურე მეურნეობის მოწყობა, სადაც იგეგმება დეკორატიული ყვავილებისა და ნერგების გამოყვანა, რომელიც უზრუნველყოფს ქალაქის გამწვანება-გალამაზებას;
- გათვალისწინებულია ქალაქში არსებული მწვანე საფარის მოვლა–პატრონობა, ახალი ხეების დარგვა და გამწვანების ზოლებში ყვავილებისა და სხვა დეკორატიული მცენარეების გაშენება.

20. რის გაკეთებას აპირებთ სპორტის და ჯანსაღი ცხოვრების წესის განვითარებისთვის დ სპორტულ-რეკრიაციული ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად?

- ქალაქში არსებული თანამედროვე სპორტული ობიექტების (საცურაო აუზები, რაგბის სტადიონი) პოპულარიზაცია როგორც ქვეყნის, ასევე რეგიონის (კავკასია) მასშტაბით;
- განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენთათვის სავარჯიშო პირობების შექმნა;
- საბავშვო გასართობი ატრაქციონების (30 კოპლექტი) შეძენა-დამონტაჟება და საბავშვო მოედნების მოწყობა–რეაბილიტაცია;
- ქალაქში არსებული მოძველებული სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია;
- სპორტულ სექციებში დაკავებული ახალგაზრდების ხელშეწყობა-პოპულარიზაცია;

- ქვეპროგრამა მოიცავს ააიპ „რუსთავის სპორტული სკოლების გაერთიანების“ დაფინანსებას, რომელიც აერთიანებს 4 სპორტულ სკოლას და 1300–ზე მეტ სპორტსმენს; გაერთიანება მოიცავს სპორტის სხვადასხვა სახეობას და უზრუნველყოფს ამ სახეობების განვითარებას, მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმას და მათთვის საწვრთნელი პირობების შექმნას;
- საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობა;
- თვითმმართველობის ეკონომიკური განვითარების სამსახურს მოგებული აქვს გრანტი, რომელიც ქალაქში არსებული ერთ-ერთი სპორტული კომპლექსის გათბობით და ცხელი წყლით უზრუნველყოფას ითვალისწინებს, ამავე კომპლექსში სარემონტო სამუშაოების ჩატარებას გეგმავს თვითმმართველობაც, ადგილობრივი ბიუჯეტით.